ბრძანება:**ბ16. 3722291001**
თარიღი:**18/10/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-15 მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 N ბ37.3722280001 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის მე-2 რანგი, 1 სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილის და საორგანიზაციო განყოფილების მე-2 რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შესაძლო ვაკანტური თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ავთანდილ გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი);

ბ) კახაბერ ლომაძე - სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს პროგრამების კორდინატორი - კომისიის წევრი;

გ) ცირა მდინარაძე - მე-3 რანგის 2-კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (მოვალეობის შემსრულებელი)- კომისიის წევრი;

2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნანა თავდუმაძე

საკონკურსო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი